



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების  
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
ა(ა)იპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება  
სოფელი ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი

#### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

##### თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: მარიამ მარიამიძე

##### წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: მაია მიჩილაშვილი

კვების დარგში ექსპერტი: რუსუდან აჩელაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ლალი ალადაშვილი



## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ            |                                                                                |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|
| სამართლებრივი ფორმა                                                                                                                      | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი                                   |
| საფირმო სახელწოდება                                                                                                                      | ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი                                                                                                                   | 233146798                                                                      |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>(არსებობის შემთხვევაში)                                                              | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი                      |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>(არსებობის შემთხვევაში)                                                                                    |                                                                                |
| სექტორი                                                                                                                                  | საჯარო                                                                         |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ                                                                                                   | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება                                 |
| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ |                                                                                |
| იურიდიული მისამართი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)                                                                    | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ლაგოდეხი, 26 მაისის ქუჩა, N 23                |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი                                                                                        | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭაბუკიანი, 1-ლი ქუჩა, N 147                   |



|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                   |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|
| (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |                                                                   |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>(არსებობის შემთხვევაში)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                   |
| <b>3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |                                                                   |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/> |
| <b>4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                   |
| ვიზიტის საფუძველი<br>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        | MES 6250000523950 (15.05.2025)                                    |
| ვიზიტის პერიოდი<br>(თარიღი)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      | 4-5 ივნისი                                                        |
| <b>5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ</b> (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |                                                                   |
| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების<br>ადგილების ზღვრული რაოდენობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა                                     |
|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                   |
| <b>6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა<br/>და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ</b>                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                   |
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების<br>ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და<br>შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს<br>დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |                                                                   |



| N | პროგრამის სახე <sup>1</sup>                | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება                                                | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური) | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ზავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა                                                                                                             |
|---|--------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------|------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში" | ქართული                      |                                                                                      | <div>100</div> <div>რეკომენდირებული რაოდენობა -58</div> <div> <div>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input type="checkbox"/></div> <div>არ ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/></div> </div> |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 4 და 5 ივნისს, პროცესი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. დაწესებულებაში პროცესის მიმდინარეობას ესწრებოდა გაერთიანების ხელმძღვანელი, ბუღალტრები, მეთოდისტი, დაწესებულების მენეჯერი და თანამშრომლები. პროცესი წარიმართა თანამშრომლობით და პოზიტიურ გარემოში. ვიზიტი განხორციელდა იმ დროს, როდესაც დაწესებულებაში პარალელურად მიმდინარეობდა სააღმზრდელო პროცესი და დაცული იქნება ყველა წესი და პროცედურა, ზავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ბაღმა ორდღიანი ვიზიტისას წარმოადგინა საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც თან არ ახლდა განაცხადის ფორმას, განხორციელდა ინტერვიუება და დაწესებულების ინტერიერისა და ექსტერიერის დათვალიერება

<sup>1</sup> აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მამიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

დაწესებულებაში ვიზიტისას დათვალიერების ეტაპზე გამოიკვეთა კარგი პრაქტიკების მაგალითი. მათ შორის ფიზიკური გარემოს მოწყობა ეზოს სივრცეში არის ადაპტირებული სათამაშო მოწყობილობები, რომელიც მარტივად გამოიყენება თითოეული ბავშვისათვის, მათ შორის ეტლით მოსარგებლე ბავშვებისათვის. ატრაქციონები არის მრავალფეროვანი და საჭირო რაოდენობის, რომელიც მოლოდინის პროცესს გამორიცხავს. ასევე აღსანიშნავია რომ, დაწესებულებაში ყველა ჯგუფთან საქმიანობას ანხორციელებს მუსიკის პედაგოგი, რომელიც გარდა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობებისა, იყენებს მრავალფეროვან განმავითარებელ თამაშებსა და საჭირო რესურსებს, რომელსაც თავად ამზადებს ბავშვებთან ერთად გამორჩეული ვიზუალიზაციით.

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.....

.....

.....

.....



## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა                                                                                                                                                                 |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტი/კომპონენტი                                                                                                                                                                                                         | დაწესებულების თვითშეფასება                                                                                                                                                                     | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება                                                                                                                                                                      |
| <b>ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა</b>                                                                                                                                                                             |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება                                                                                                                                                                            | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია                                                                                                                                                                                                     | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება                                                                                                                                                                                                 | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| <b>ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა<sup>2</sup></b><br><b>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა</b><br><i>(1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“<br/>           2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“)</i> |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 2. კურიკულუმი                                                                                                                                                                                                                | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება                                            | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება                                            |

<sup>2</sup> ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



|                                          | <input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                                                                        | <input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                                                                        |
|------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა                | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება           | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |



| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა           |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა                         | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა                          | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება         | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა            |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება                 | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა                                | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |





|                                           |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 4.3. მატერიალური რესურსი                  | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები          | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება     | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.7. ფინანსური რესურსი                    | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |



## ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



## 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1. დაწესებულების მისია

#### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია ეხმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

- შეექმნათ უსაფრთხო და განმავითარებელი გარემო, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას და მათი პოტენციალის სრულიად გამოვლენას
- ხელი შეუწყოს შშმ ბავშვებისთვის შესაბამისი გარემო-პირობების შექმნას და მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას.
- მოვახდინოთ თანამშრომელთათვის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზება.
- ხელი შეუწყოს სკოლამდელი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის, საცხოვრებელი ადგილისა და შესაძლებლობის შეზღუდვის მიუხედავად.

დოკუმენტი დამტკიცებულია 2023 წლის 12 ივლისის N 842.9223193001 ბრძანებით. დამტკიცების წესის ვალდებულების რეგულირება არ დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით. წარმოდგენილი მისია არის შინაარსობრივად გასაგები, მამოტივირებელი, ასახავს თემის იდენტობასა და ღირებულებებს, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების როლს ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხედვა გამომდინარეობს მისიიდან, რასაც ადასტურებს მისიაში გაცხადებული ბავშვზე მზრუნველი გარემოს ჩამოყალიბებისა და ჰოლისტურ მიდგომებზე დაფუძნებული მართვის მეთოდი და ხედვაში წარმოდგენილი სამომავლო პერსპექტივა, უსაფრთხო და თავისუფალი გარემოსა და სოციალურ-ემოციური მდგრადობის უზრუნველყოფა. მისია და ხედვა დაფუძნებულია ორგანიზაციულ ღირებულებებზე, რომელიც ითვალისწინებს საჭირო საგანმანათლებლო პრინციპების არსებობას, რესურსებით უზრუნველყოფასა და გამომდინარეობს გაცხადებული მიზნიდან. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა  
.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი, რომელსაც განაცხადის წარმოდგენისას თან არ ერთვის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, შესაბამისად ვერ დგინდება დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ დოკუმენტი არის გუნდურად შემუშავებული გაერთიანების ხელმძღვანელისა და რამდენიმე თანამშრომლების ჩართულობით, ამასთან მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად არ განხორციელებულა პროექტის გაცნობა და უკუკავშირის მიღება დაინტერესებულ მხარესთან.

მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტებზე მუშაობის პერიოდში არ იყო შემუშავებული აღნიშნული მეთოდოლოგიური დოკუმენტი (მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა - 12.07.2023წ; სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შესაფების წესი - 10.04.2025წ.) და პროცესი არ ითვალისწინებდა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სამუშაო პროცესში დაინტერესებული მხარის ჩართულობა, რეკომენდირებულია დაწესებულებამ იხელმძღვანელოს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ ბრძანებით დამტკიცებული “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შესაფების წესის” შესაბამისი მუხლებით და სამუშაო ჯგუფის ფორმატით მოახდინოს დაინტერესებული მხარის ჩართულობა, დოკუმენტის გაცნობა და უკუკავშირის მიღება, რომელსაც სათანადო მტკიცებულებებით დაადასტურებს.

### რჩევა

ინდიკატორის შესაბამისად პროცესის წარმართვისა და დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხელმძღვანელებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევით. სტანდარტი 1. კომპონენტი 1.1. კრიტერიუმი 1.1.1 ინდიკატორი - 1.1.1.3 “მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით” და ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ ბრძანებით დამტკიცებული “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შესაფების წესით.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ხუთთვიანი გეგმა, კერძოდ “დაწესებულება უზრუნველყოფს “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შესაფების წესის” შესაბამისად დაინტერესებული მხარის ჩართულობას”. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**



#### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განაცხადის გაკეთებისას არ წარმოუდგენია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი და ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები. ამასთან, წარმოდგენილია ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის, 10 აპრილის № 42.9225100001 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომლის მე-6 და მე-8 მუხლები არეგულირებს დაინტერესებულ მხარესთან გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მეთოდებს. იმ პერიოდისათვის, როდესაც დამტკიცდა დოკუმენტი დაწესებულება არ ხელმძღვანელობდა აღნიშნული პრინციპებით. ინტერვიუზე გაერთიანების ხელმძღვანელმა, დაწესებულების მენეჯერმა და თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ შემუშავებული დოკუმენტის გაცნობა მოხდა, მაგრამ სათანადო მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ, ვინაიდან არ იყვნენ ინფორმირებულნი მტკიცებულებების შეგროვების შესახებ. საბავშვო ბაღის შენობის საჯარო სივრცეში თვალსაჩინო ადგილზე არ არის გამოკრული დოკუმენტი და არ იძებნება საჯარო სივრცეში. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

##### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია იხელმძღვანელოს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-6 და მე-8 მუხლებით.

##### რჩევა

ინდიკატორის შესაბამისად პროცესის წარმართვისა და დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხელმძღვანელოთ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევით. სტანდარტი 1. კომპონენტი 1.1. კრიტერიუმი 1.1.1 ინდიკატორი - 1.1.1.4 “მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი”.

##### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ოთხთვიანი გეგმა, კერძოდ “დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტის საჯაროდ ხელმისაწვდომობას, კერძოდ მშობლებთან შეხვედრებზე მის განხილვას, საინფორმაციო დაფაზე გამოკვრას. გაერთიანების მხრიდან მოხდება აღნიშნული დოკუმენტის სოციალურ ქსელში განთავსება”. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი
2. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცების შესახებ ბრძანება N 842. 9223193001
3. “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”
4. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება N 842. 9225100001
5. ინტერვიუს შედეგები
6. სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა.

#### შეფასება:

##### 1.1. დაწესებულების მისია

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|



## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დამტკიცებული დოკუმენტი ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი და წესის დამტკიცების ბრძანება N ბ42. 9225100001”, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს პროცესში დაინტერესებული მხარის ჩართულობას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არანაკლებ ხუთწლიანი ვადითა და ციკლურობის პრინციპის დაცვით, რომელიც პროცესში ითვალისწინებს მისია, ხედვა და ღირებულებების თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. დაწესებულებამ





წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სამთვლიანი პერიოდულობით, რომელიც თან ერთვის განაცხადის ფორმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები და შეიმუშაო არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან თავსებადი სტრატეგიული გეგმა, რომლის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნება ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით განსაზღვრული პროცედურები, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

#### რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და პროცესში ითვალისწინებს ყოველწლიურ თვითშეფასებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სამთვლიანი პერიოდულობით, რომელიც თან ერთვის განაცხადის ფორმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები და შეიმუშაო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასებას, ასევე შემუშავების პროცესში უნდა



გაითვალისწინოს ა(ა)იპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით განსაზღვრული პროცედურები წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

საავტორიზაციო პერიოდისათვის დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, შესაბამისად ვერ მოწმდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სამთვლიანი პერიოდულობით, რომელიც თან ერთვის განაცხადის ფორმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**რეკომენდაცია**

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც უნდა განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. შემუშავების პროცესში უნდა გაითვალისწინოს ა(ა)იპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით განსაზღვრული პროცედურები წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საავტორიზაციო პერიოდისათვის დაწესებულება არ აქვს შემუშავებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, შესაბამისად არ ხორციელდება შესრულებული საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულებას აქვს შემუშავებული - ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის, 10 აპრილის № 842.9225100001 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, სადაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში უნდა გაითვალისწინოს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით განსაზღვრული პროცედურები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



საავტორიზაციო პერიოდისათვის დაწესებულება არ აქვს შემუშავებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, შესაბამისად არ აქვს საჯაროდ გამოქვეყნებული შესრულებული საქმიანობის შედეგები და არ მომხდარა შედეგების გათვალისწინება დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის შესაბამისობის გეგმა, სამთვლიანი პერიოდულობით, რომელიც თან ერთვის განაცხადის ფორმას. დაწესებულებას აქვს შემუშავებული - ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის, 10 აპრილის № 842.9225100001 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, სადაც განსაზღვრული აქვს გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი ბრძანება № 842. 9225100001.
2. სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა.
3. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

#### 1.2. სტრატეგიული განვითარება

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|



## 2. კურიკულუმი<sup>3</sup>

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

#### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (ბ.№42.92251002, თარიღი: 10/04/2025) დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ და ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება (ბ. №42.92251009, თარიღი: 10/04/2025) კურიკულუმების დამტკიცების შესახებ.

ექსპერტის მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ დაწესებულება ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (ბ.№42.92251002, თარიღი: 10/04/2025)

<sup>3</sup> მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ მუხლი 2-ის შესაბამისად კურიკულუმის შერჩევის ეტაპებს ყოფს შემდეგნაირად:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა; დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

თუმცა ექსპერტული მოკვლევისას ეს ფაქტი **არ დასტურდება**.

ასევე, დაწესებულება თვითშეფასებაში დეტალურად აღწერს კურიკულუმის შერჩევის პროცედურებს, აღნიშნავს, რომ სწორედ დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ მოხდა კურიკულუმის შერჩევა. თუმცა ექსპერტის მხრიდან ამ პროცესის განხორციელების დამადასტურებელი ნებისმიერი ტიპის დოკუმენტაციის მოთხოვნისას, დაწესებულებამ **მტკიცებულება ვერ წარმოადგინა**. დროებითი სამუშაო ჯგუფის არარსებობას ის ფაქტიც ადასტურებდა, რომ „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (ბ. №42.92251002, თარიღი: 10/04/2025) და ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ (ბ.№42.92251009, თარიღი: 10/04/2025) ერთ დღეს არის დამტკიცებული (ჯერ ამტკიცებს წესს, შემდეგ კურიკულუმებს). ინტერვიუს საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები მხოლოდ გაერთიანების მეთოდისტის მიერ იქნა შერჩეული.

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანების (ბ.№42.92251009, თარიღი: 10/04/2025) კურიკულუმების დამტკიცების შესახებ შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ამტკიცებს ორ კურიკულუმს: ადრეული განათლების კურიკულუმს „თამაში“ - „2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ და სასკოლო მზაობის პროგრამას. თუმცა აღნიშნულ ბრძანებაში სასკოლო მზაობის პროგრამის მხოლოდ აქტივობათა კრებულებს (პირველ და მეორე ნაწილს) ამტკიცებს და არა მეთოდურ სახელმძღვანელოს - „თამაში სწავლასა და განვითარებისთვის“. ვინაიდან სასკოლო მზაობის აქტივობათა კრებული არ არის კურიკულუმი, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას **სასკოლო მზაობის კურიკულუმი არ აქვს დამტკიცებული**. ამას ემატება ფაქტი, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო არც დაწესებულებაში აღმოჩნდა (ექსპერტის მოთხოვნის საფუძველზე სასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელმა ადრეული განათლების კურიკულუმის „თამაში“ პირველი ნაწილი წარმოადგინა).

ასევე გამოიკვეთა, რომ „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ (№42.92251002, თარიღი: 10/04/2025) მუხლი 2-ის პუნქტი 6 განსაზღვრავს შემდეგს: „ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ეტაპზე შერჩეული კურიკულუმები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით ამ კურიკულუმების განხორციელების ჯგუფების მითითებით.“ თუმცა აღნიშნულ ბრძანებაში არც ეს პუნქტია გათვალისწინებული. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული**.



ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა დაამტკიცოს 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფისთვის სასკოლო მზაობის კურიკულუმი. კურიკულუმის დამტკიცების შესახებ ბრძანებაში კურიკულუმის სახელწოდება და მისი განხორციელებისთვის საჭირო სახელმძღვანელოები სრულყოფილად უნდა ასახოს. მიეთითოს სახელმძღვანელოების სრული სახელწოდება, გამოშვების წელი, ავტორები. ამავე ბრძანებაში ასახოს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (№42.92251002, თარიღი: 10/04/2025) დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის" მუხლი 2-ის პუნქტი 6-ით განსაზღვრული საკითხი, კერძოდ, უზრუნველყოს კურიკულუმის განხორციელების ჯგუფების მითითება. ასევე უზრუნველყოს ამავე წესის მუხლი 2-ის პუნქტი 1-ით განსაზღვრული ეტაპები, კერძოდ:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა; დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით, სადაც განსაზღვრავს შემდეგს:

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორის მ.შ. ბრძანებით №42.92251002, 10/04/2025 წ. დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, შეიქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით, სადაც განსაზღვრავს შემდეგს: კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შეიმუშავებს კურიკულუმს და გაერთიანების მხრიდან მოხდება „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორის ბრძანებაში ცვლილების განხორციელება და მეთოდური სახელმძღვანელოს დამტკიცება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას ხუთივე სფეროსა და სამივე თემატურ მიმართულებაში. რაც





შეეხება სასკოლო მზაობას, დაწესებულებას არ აქვს სასკოლო მზაობის კურიკულუმი დამტკიცებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა დაამტკიცოს 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფისთვის სასკოლო მზაობის კურიკულუმი, რომელიც ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას.

#### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით, სადაც განსაზღვრავს შემდეგს:

კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შეიმუშავებს კურიკულუმს და გაერთიანების მხრიდან მოხდება „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის ბრძანებაში ცვლილების განხორციელება და მეთოდური სახელმძღვანელოს დამტკიცება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში. რაც შეეხება სასკოლო მზაობას, დაწესებულებას არ აქვს სასკოლო მზაობის კურიკულუმი დამტკიცებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა დაამტკიცოს 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფისთვის სასკოლო მზაობის კურიკულუმი, რომელიც ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში.

#### რჩევა





---

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით, სადაც განსაზღვრავს შემდეგს:

კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შეიმუშავებს კურიკულუმს და გაერთიანების მხრიდან მოხდება „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის ბრძანებაში ცვლილების განხორციელება და მეთოდური სახელმძღვანელოს დამტკიცება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

#### 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას. რაც შეეხება სასკოლო მზაობას, დაწესებულებას არ აქვს სასკოლო მზაობის კურიკულუმი დამტკიცებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა დაამტკიცოს 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფისთვის სასკოლო მზაობის კურიკულუმი, რომელიც ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას.

#### რჩევა

---

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით, სადაც განსაზღვრავს შემდეგს:

კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შეიმუშავებს კურიკულუმს და გაერთიანების მხრიდან მოხდება „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის ბრძანებაში ცვლილების განხორციელება და მეთოდური სახელმძღვანელოს დამტკიცება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

#### 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს



## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. რაც შეეხება სასკოლო მზაობას, დაწესებულებას არ აქვს სასკოლო მზაობის კურიკულუმი დამტკიცებული. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა დაამტკიცოს 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფისთვის სასკოლო მზაობის კურიკულუმი, რომელიც ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს.

### რჩევა

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით, სადაც განსაზღვრავს შემდეგს:

კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შეიმუშავებს კურიკულუმს და გაერთიანების მხრიდან მოხდება „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის ბრძანებაში ცვლილების განხორციელება და მეთოდური სახელმძღვანელოს დამტკიცება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბ.№42.92251002, თარიღი: 10/04/2025) „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ მუხლი 3-ის მიხედვით ნათლად განსაზღვრავს შერჩეული კურიკულუმის გაზიარების პროცედურებს მშობლებთან, დაწესებულების პერსონალთან, თემთან/მუნიციპალიტეტთან და აღნიშნავს, რომ ამისთვის გამოიყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



## რეკომენდაცია

.....

## რჩევა

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ (ბ.№42. 92251002 თარიღი: 10/04/2025) დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“;
2. ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ (ბ.№42. 92251009 თარიღი: 10/04/2025);
3. ინტერვიუს შედეგები.
4. სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა.

## შეფასება:

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას



### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ (ბ.№42. 92251003 თარიღი: 10/04/2025) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" მიხედვით განსაზღვრავს მხოლოდ მოკლევადიანი გეგმების შემუშავების პროცესებს. მეთოდისტთან, აღმზრდელთან და აღმზრდელის თანაშემწესთან ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ ბაღს მზაობა მხოლოდ მოკლევადიანი გეგმების შემუშავების პროცესთან აქვს. დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის" შესაბამისად, ის ვალდებულია შექმნას როგორც მოკლევადიანი გეგმა, ისე გრძელვადიანი გეგმა. ასევე, ზემოთ აღნიშნულ წესში მუხლი 3-ის მიხედვით დაწესებულება ადგენს, რომ მოკლევადიანი გეგმის ფორმა დამტკიცებულია გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით, თუმცა ინტერვიუსა და დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მოკლევადიანი გეგმაც არ არის დამტკიცებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს კურიკულუმის მოთხოვნა და საგანმანათლებლო პროცესი დაგეგმოს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე, ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ (ბ.№42. 92251003 თარიღი: 10/04/2025) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" მუხლი 3-ის შესაბამისად, გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით უნდა დამტკიცდეს გეგმების ფორმები (როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი).

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება განსაზღვრავს შემდეგს:

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება" საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში ცვლილების განხორციელებით მოახდენს გრძელვადიანი გეგმის დამტკიცებას, და დაწესებულება შეიმუშავებს კურიკულუმის შესაბამის როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან გეგმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.



## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ. №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ მუხლი 3-ის მიხედვით დაწესებულება განსაზღვრავს, რომ მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდისტი. კურიკულუმი გრძელვადიანი პერსპექტივითაც ითხოვს საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვას, თუმცა დაწესებულება გრძელვადიან გეგმა/გეგმებს არ განსაზღვრავს მის მიერ დამტკიცებულ წესში და არც ინტერვიუს გზით დადასტურდა მისი დაგეგმვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს კურიკულუმის მოთხოვნა გრძელვადიანი გეგმის წარმოების შესახებ და გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ. №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით განსაზღვროს გრძელვადიანი გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილე საგანმანათლებლო პერსონალი. დეტალურად უნდა გაიწეროს, რა ნაბიჯებს მოიცავს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავების პროცესი. პროცესის ამსახველ დოკუმენტში უნდა გაიწეროს, რა პერიოდულობით ხდება გეგმის ფორმის გადახედვა და განახლება, ვისი ჩართულობით შემუშავდება გეგმები, ვისთან ხდება მათი გაზიარება. გეგმის ფორმას განსაზღვრავს კურიკულუმის მოდელი.

### რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება განსაზღვრავს შემდეგს:

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში ცვლილების განხორციელებით მოახდენს გრძელვადიანი გეგმის დამტკიცებას, და დაწესებულება შეიმუშავებს კურიკულუმის შესაბამის როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან გეგმებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ.№42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 3-ის მიხედვით განსაზღვრავს, რომ გეგმები უნდა მოიცავდეს ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია, ჯგუფის საჭიროებები, ინტერესები და პრიორიტეტები ასახული იყოს შესაბამის დოკუმენტებში, გეგმებში, საგანმანათლებლო პერსონალის ჩანაწერებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ.№42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 3-ისა და მუხლი 4-ის მიხედვით განსაზღვრავს, რომ



ინდივიდუალიზაციისა და ინდივიდუალური გეგმების მიხედვით ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ.№42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" მუხლი 3-ის მიხედვით განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხია თამაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....





## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ.№42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 3-ის მიხედვით განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო პროცესი ორიენტირდება სხვადასხვა ტიპის თამაშზე სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე). აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 6-ის მიხედვით განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმს. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.





## რეკომენდაცია

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება, გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ.№42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“, მუხლი 5-ის მიხედვით განსაზღვრავს საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შემუშავებას და აღნიშნული ნუსხის კურიკულუმთან ერთად დამტკიცებას. თუმცა, ექსპერტის მიერ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის მოთხოვნისას, დაწესებულებამ ნუსხა ვერ წარმოადგინა. ინტერვიუს გზით გამოიკვეთა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ აქვთ შემუშავებული. ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად განსაზღვრული თითოეულ ბავშვზე/ჯგუფზე საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ოპტიმალური რაოდენობა, შესაბამისად, არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია დადგინდეს დაწესებულებაში არსებული რესურსებისა და დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მხრიდან მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება, ვინაიდან მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობა არ არის შესაბამისობაში საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობასთან. დაწესებულებაში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობის შესაბამისად, ექსპერტული მოკვლევიტ, ბავშვთა ზღვრული რაოდენობაა არა 100, როგორც ითხოვს დაწესებულება, არამედ 58-ია. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭიროა, დაწესებულებამ გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 5-ის მიხედვით გაწერილი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 პუნქტები შეასრულოს. ანუ შეიმუშაოს მინიმალური



საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა საგანმანათლებლო პერსონალის აქტიური ჩართულობით და კურიკულუმთან სინქრონიზებით, შესაბამისად ჩამოაყალიბოს რესურსების ოპტიმიზაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეულ ბავშვზე/ჯგუფზე საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრას. ასევე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის რეალისტური პროგნოზირება არსებული რესურსული შესაძლებლობებისა და პერსონალის მიხედვით (58 ბავშვზე). თუ დაწესებულებას სურს მოთხოვნილი რაოდენობის უზრუნველყოფა (100 ბავშვი), მან რაოდენობრივად უნდა გააძლიეროს საგანმანათლებლო პერსონალი, რათა მოთხოვნილ ბავშვთა რაოდენობასთან პერსონალის ადექვატური შესაბამისობა უზრუნველყოს.

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ორთვიანი პერიოდულობით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება განსაზღვრავს შემდეგს:

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მიხედვით, დამტკიცდება მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც განისაზღვრება დაწესებულებაში ჩასარიცხი ბავშვების რეკომენდირებული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

#### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ფიზიკური გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად, ბაღის შიდა გარემოში სათამაშო ოთახები დაყოფილია სათამაშო ცენტრებად. ავეჯი ბავშვის სიმაღლისაა. ჯგუფში არის მეორადი, ბუნებრივი, ქარხნული და ხელნაკეთი რესურსი. ეზოში მოწყობილია საქვიშეები, ატრაქციონები. არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ატრაქციონების სამი მოწყობილობა, რომელიც უნივერსალურობით გამოირჩევა.



გამოიკვეთა კურიკულუმის მოთხოვნებთან შეუსაბამობაც. კერძოდ, არ არის მოწყობილი ეზოში განმარტების სივრცე, დრამატული თამაშებისთვის სივრცე, სახელოსნოები. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნები. კურიკულუმის შესაბამისად, გარე სივრცე (ეზო) სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად/ფუნქციურ სივრცეებად უნდა მოაწყოს. შიდა და გარე სივრცე უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის ჰოლისტურ, მრავალმხრივ განვითარებას. დაწესებულება უნდა ახდენდეს სივრცეების აგრეგაციას.

### რჩევა

სასურველია, კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად ჯგუფებიდან გატანილ იქნას მასწავლებლის კარადები და მაგიდები.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ხუთთვიანი პერიოდულობით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება განსაზღვრავს შემდეგს:

ბიუჯეტის დამტკიცებისას მოხდება შესაბამისი საჭიროებებისთვის თანხის განსაზღვრა, რესურსის შეძენა, დაწესებულებაზე გადაცემა და ჯგუფური ოთახები და გარე სივრცე მოეწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად. ოთახები დაიყოფა სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად: დილისა და საღამოს შეხვედრების, კონსტრუქციული, ხელოვნების, დრამატული, წიგნიერების, წყნარი სივრცე, მეცნიერების, სამაგიდო, სენსორული. სივრცეებზე განთავსდება ვიზუალური მინიშნებები ბავშვის სიმაღლის შესაბამისად. კედლებზე განთავსდება ფუნქციური და გამოყენებადი მასალა. ჯგუფში განთავსდება ბავშვის სიმაღლის შესაბამისი ავეჯი. ეზოში მოეწყობა სივრცეები დრამატული თამაშებისთვის, სახელოსნო, სამზარეულო, ბოსტანი, სამრეცხაო შიდა და გარე სივრცეები და გაკეთდება ვიზუალური მინიშნებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ფიზიკური გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბაღს საგანმანათლებლო რესურსები ორგანიზებული აქვს ცენტრებში და ბავშვებისთვისაც მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. კერძოდ, რესურსი ცენტრებში, თაროებზე ბავშვების



სიმაღლეზეა მოთავსებული, უმეტესად მოთავსებულია კონტეინერებში. ცენტრებზე და ჯგუფის სივრცეებში მინიშნებებიც განთავსებულია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ზავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ფიზიკური გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად, რომ ზავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენების შესაძლებლობა, თუმცა ზავშვებს არ აქვთ განმარტოების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს კურიკულუმის მოთხოვნა და უზრუნველყოს ჯგუფებში განმარტოების სივრცის არსებობა.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ხუთთვიანი პერიოდულობით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება განსაზღვრავს შემდეგს:

ბიუჯეტის დამტკიცებისას მოხდება შესაბამისი საჭიროებებისთვის თანხის განსაზღვრა, რესურსის შეძენა, დაწესებულებაზე გადაცემა და ჯგუფური ოთახები და გარე სივრცე მოეწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად. ოთახები დაიყოფა სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად: დილისა და საღამოს შეხვედრების, კონსტრუქციული, ხელოვნების, დრამატული, წიგნიერების, წყნარი სივრცე, მეცნიერების, სამაგიდო, სენსორული. სივრცეებზე განთავსდება ვიზუალური მინიშნებები ბავშვის სიმაღლის შესაბამისად. კედლებზე განთავსდება ფუნქციური და გამოყენებადი მასალა. ჯგუფში განთავსდება ბავშვის სიმაღლის შესაბამისი ავეჯი. ეზოში მოეწყობა სივრცეები დრამატული თამაშებისთვის, სახელოსნო, სამზარეულო, ბოსტანი, საპრომიანო შიდა და გარე სივრცეები და გაკეთდება ვიზუალური მინიშნებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი სურათი: გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ.№42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 8-ის შესაბამისად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის მხოლოდ ერთი მეთოდის - ობიექტური დაკვირვების ჩანაწერების წარმოებას განსაზღვრავს. თუმცა, ამავე წესში აღნიშნავს, რომ გამოიყენებს მრავალფეროვან მეთოდებს (პირველი პუნქტი), ასევე წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული ბავშვის შეფასების ფორმა (რომელიც რეალურად არის ჩექლისტი). ასევე, ამავე წესის მე-3 მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს, რომ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს: ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები, ბავშვის შეფასების ჩანაწერები, ბავშვის ნამუშევრები (რაც მოწაფითა შეგროვებაა, დაკვირვების ნაწილი). აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ ბაღს აქვს მზაობა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



დაწესებულებამ სასურველია გაითვალისწინოს კურიკულუმის მოთხოვნა და მის მიერ დამტკიცებული წესის მნიშვნელობა და გაამდიდროს დაკვირვება-შეფასების მეთოდების ჩამონათვალი გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 8-ის მე-2 პუნქტში. შეიტანოს ყველა მეთოდი, რასაც გამოიყენებს, მაგალითად: ჩანაწერები, კითხვარები, რეიტინგული სკალები და სხვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნულ საკითხს დაწესებულება არეგულირებს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ. №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 8, პუნქტი 5-ის მიხედვით: შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის



## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნულ საკითხს დაწესებულება არეგულირებს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ.№42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 8, პუნქტი 10-ის მიხედვით: შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულირებისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

.....

### რჩევა

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნულ საკითხს დაწესებულება არეგულირებს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ. №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 8, პუნქტი 5-ის მიხედვით: ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

.....

### რჩევა





## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (№42.92251003 თარიღი: 10/04/2025) დამტკიცებული "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უფერხებლად უზრუნველყოფის წესი";
2. სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაცია;
3. ფიზიკური გარემოს ვიზუალური დათვალიერება;
4. ინტერვიუს შედეგები.
5. სოფელ ჭაბუკიანის შესაბამისობის გეგმა.

### შეფასება:

#### 2.2. კურიკულუმის განხორციელება

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|

#### 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

##### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა





აღნიშნულ საკითხს დაწესებულება არეგულირებს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ. №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 11- ის შესაბამისად: საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნულ საკითხს დაწესებულება არეგულირებს ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი ბ. №42.92251003) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 11- ის შესაბამისად: საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....



## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (№42.92251003 თარიღი: 10/04/2025) დამტკიცებული "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უფერხებლად უზრუნველყოფის წესი";
2. ინტერვიუს შედეგები.

### შეფასება:

#### 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

შეესაბამება ☒

მეტწილად შეესაბამება ☐

ნაწილობრივ შეესაბამება ☐

არ შეესაბამება ☐

### 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

#### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

##### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულება, გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 10 აპრილის №42.92251004 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით“ და შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმის შესაბამისად, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

**2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

აღნიშნულ საკითხს დაწესებულება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით 2025 წლის 10 აპრილის №42.92251004 დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი 4 და 6-ით განსაზღვრავს. კერძოდ, განსაზღვრავს ღია კარის დღეების ჩატარებას, შეხვედრებს, წინადადებების ყუთის დადგმას და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



### 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუს გზით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას გამოიყენოს კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდები და არხები. გაერთიანების დირექტორის ბრძანებით 2025 წლის 10 აპრილის №42.92251004 დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი 4-ის შესაბამისად განსაზღვრავს შემდეგ მეთოდებსა და არხებს: დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით, მატერიალური კორესპონდენცია, საინფორმაციო დაფები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სატელეფონო ზარები, ელექტრონული ფოსტა, დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები ( facebook ), სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებითი მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით 2025 წლის 10 აპრილის №42.92251004 დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
2. საკომუნიკაციო გეგმა;
3. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:



### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|

### 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

#### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლინდა რომ დაწესებულებას არ აქვს მზაობა ინდიკატორის სრული მოთხოვნა დააკმაყოფილოს. კერძოდ, საკომუნიკაციო გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მშობლებთან ტრენინგის ჩატარება მხოლოდ ორ საკითხზე: ბავშვთა უფლებების შესახებ და ბავშვთა განათლების შესახებ. არც საკომუნიკაციო გეგმის შესწავლისას და არც ინტერვიუს შედეგად არ დადასტურდა, რომ დაწესებულება ბავშვის განვითარების თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით მშობელთა ცნობიერების ამაღლებას გეგმავს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს მისი მოთხოვნა. შესაბამისად, საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტში უნდა ასახოს მშობლების ცნობიერების ამაღლების აქტივობა შემდეგ თემატიკაზე: ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ და ბავშვის განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

#### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ხუთთვიანი პერიოდულობით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება განსაზღვრავს შემდეგს:



დაწესებულება უზრუნველყოფს საკომუნიკაციო გეგმაში მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დაგეგმილი აქტივობების გაწერას. მათი განათლების ზრუნვისთვის დაიგეგმება სხვადასხვა ტიპის სამუშაო შეხვედრები, რაც უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებულობას ბავშვთა უფლებებზე, ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებზე და განვითარების სპეციფიკაზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აღნიშნულ საკითხს, გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი №42.92251003 ) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 9 -ის საფუძველზე განსაზღვრავს შემდეგნაირად:

- ა) დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას;
- ბ) ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

---

---

რჩევა

---

---

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის მოკვლევისთვის, ექსპერტის მიერ შესწავლილი იქნა საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა, ასევე, ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით (2025 წლის 10 აპრილი №42.92251004) დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი დაწესებულება აღნიშნულ საკითხს არცერთი დოკუმენტით განსაზღვრავს. აღნიშნული საკითხი არც საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს დადასტურდა. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს მისი მოთხოვნა და საკომუნიკაციო გეგმაში გაწეროს თემში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენების გზები კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას.

#### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სამთვიანი პერიოდულობით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება განსაზღვრავს შემდეგს:

დაწესებულება უზრუნველყოფს თემის ჩართულობით გათვალისწინებული აქტივობების საკომუნიკაციო გეგმაში გაწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

#### 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს დაწესებულება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით 2025 წლის 10 აპრილის №42.92251004 დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი 6-ით განსაზღვრავს. თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ცვლილებებს არცერთ დოკუმენტში არ გეგმავს. ეს საკითხი არც საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს დადასტურდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

#### რეკომენდაცია





ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს მისი მოთხოვნა და დოკუმენტაციაში ასახოს, რომ ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებებს განახორციელებს.

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სამთვლიანი პერიოდულობით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება განსაზღვრავს შემდეგს:

გაერთიანება დოკუმენტაციაში ასახავს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ცვლილებებს განახორციელებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებითი მოვალეობის შემსრულებელი) ბრძანებით 2025 წლის 10 აპრილის №42.92251004 დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
2. საკომუნიკაციო გეგმა;
3. ინტერვიუს შედეგები.
4. ინტერვიუს შედეგები;
5. სოფელ ჭაბუკიანის შესაბამისობის გეგმა.

### შეფასება:

#### 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|



## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა<sup>4</sup>

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

#### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

##### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებში შემავალი სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას. დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად და განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა ორგანოგრამა თანამშრომელთა რაოდენობის მითითებით, პერსონალის პირადი საქმეები, ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის დოკუმენტი/სამუშაო აღწერილობა და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის პერსონალი, კერძოდ არ არის დაცული საგანმანათლებლო პერსონალის თანაფარდობა, რომელიც დადგენილია “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” მე-13 მუხლში, ასევე, არ არის დაცული დაწესებულების მიერ დამტკიცებულ “ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის” მე-4 მუხლით განსაზღვრული წესი - “აღმზრდელობის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან”, ამასთან დაწესებულებას დარეგულირებული არ აქვს საგანმანათლებლო პერსონალის დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხი. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

#### რეკომენდაცია

დაწესებულებამ საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას საქართველოს კანონის “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” მე-13 მუხლით განსაზღვრული წესი. ასევე, პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად უზრუნველყოს აღმზრდელების/აღმზრდელ პედაგოგების თანაფარდობა ჯგუფში “ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის

<sup>4</sup> აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).



წესის” მე-4 მუხლის შესაბამისად –“აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან” და დაარეგულიროს დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხი.

რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ცხრათვიანი გეგმა, კერძოდ “გაერთიანება უზრუნველყოფს “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” მე-13 მუხლით განსაზღვრული წესის დაცვას. ასევე, პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმზრდელების თანაფარდობას ჯგუფში “ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის” მე-4 მუხლის შესაბამისად –“და დაარეგულირებს დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხს”. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღს შემუშავებული აქვს სტრუქტურული ორგანოგრამა, რომელიც ასახავს თანამშრომელთა თანამდებობრივ დაქვემდებარებას. ცალკე დოკუმენტის სახით არის განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. თანამშრომელთა ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში, უფლება-მოვალეობების არის განსაზღვრული შინაგანაწესში. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ამსახველი დოკუმენტი დაწესებულებას არ წარმოუდგენია განაცხადის გაკეთებისას, მაგრამ გაერთიანების საქმისწარმოების სპეციალისტმა ინტერვიუებისას დამატებითი დოკუმენტის სახით წარმოადგინა “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” ბრძანება: ბ42. 922510011-ის დანართი “ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელთა სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების” დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის განმარტებული ერთეულების/პირების ფუნქციები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---



---

### 3. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამემა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ჩანაწერი გაკეთებული აქვს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მე-17 მუხლში და პერსონალის ხელშეკრულებაში, რომელიც პირადი საქმის შემადგენელი ნაწილია. პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა ვერ დგინდება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, ვინაიდან საკანონმდებლო ან მუნიციპალურ დონეზე არ არის შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტი. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა, რომელიც თან ერთვის განაცხადის ფორმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მე-17 მუხლის შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შეიმუშაოს მუნიციპალურ დონეზე წარმოებული პერსონალის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი საკრებულოს დადგენილება.

#### რჩევა

---



---

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---



---

### 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების განაცხადის ფორმას თან ერთვის ხუთი სერტიფიკატი, ექთანსა და საგანმანათლებლო პერსონალს აქვს გავლილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის გადამზადების კურსი, რომელიც დასტურებს თანამშრომელთა სერტიფიკატებით.



ინტერვიუებისას დადგინდა, რომ თანამშრომლები სათანადოდ იცნობენ დაწესებულების “პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესის” დოკუმენტს და პრაქტიკაში იყენებს და სათანადოდ ინფორმირებულნი არიან ექთნის მხრიდან. კადრების ცვლილებისას არ ხდება ახალი ტრენინგის დაგეგმვა/ორგანიზება, არც ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო ვაკანტური პერსონალის მიმართ არ არის განსაზღვრული დოკუმენტის წინასწარი ფლობის მოთხოვნა. წარმოდგენილი სერტიფიკატები გაცემულია 2024 წელს, გაერთიანების მხრიდან არ დასტურდება გადამზადების პერმანენტულობა. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

## რეკომენდაცია

დაწესებულებაში ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თითოეულ საგანმანათლებლო პერსონალს მნიშვნელოვანია ჰქონდეს დადასტურებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო კადრების ცვლილებისას, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში წინაწარ განსაზღვროს შესაბამისი კომპეტენციის (სერტიფიკატი, სიგელი, დიპლომის დანართი და სხვა) ქონა. რეკომენდირებულია თითოეული საგანმანათლებლო პერსონალისათვის ყოველწლიურად ახლდებოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენციები შესაბამისი სწავლებით, სიმულაციებით, ტრენინგით და სხვა.

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის თორმეტოვანი გეგმა, კერძოდ “გაერთიანება უზრუნველყოფს ფინანსური ნაწილის უზრუნველყოფით “პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ გადამზადების პერმანენტულობას”. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად



## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ პერსონალის მართვის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელების მტკიცებულებად წარმოადგინა დამტკიცებული შინაგანაწესი, პერსონალის მართვის მარეგულირებელი და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელთა სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების დოკუმენტი, დაწესებულების ორგანოგრამა, სადაც ასახულია დასაქმებულთა თანამდებობრივი იერარქიას და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტების ნაწილი ( მაგ: პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის - მე-8; მე-9; მე-10; მე-11; მე-17; მე-18; მე-19 მუხლები, წინააღმდეგობაში მოდის შინაგანაწესის - მე-9 და მე-10 მუხლებთან) არის ახალი დამტკიცებული ზოგ შემთხვევაში ჩანაწერი ეწინააღმდეგება ერთმანეთს და ვერ დგინდება კანონმდებლობასთან შესაბამისობა. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

## რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შინაგანაწერის დოკუმენტის (ბრძანების ნომერი ბ42. 9223192001 11/07/2023) შესაბამისი პუნქტები დააკორექტიროს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის ( ბრძანების NN№42.922510011 10/04/2025) შესაბამისად.

## რჩევა

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის სამთვლიანი გეგმა, კერძოდ “გაერთიანება უზრუნველყოფს ცვლილების განხორციელებას და შინაგანაწესისა და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას”. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს**





### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტისას განხორციელდა პირადი საქმეების და ხელშეკრულებების შესწავლა, დაწესებულებას აღმზრდელებთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მხოლოდ სამუშაო დროის საკონტაქტო საათებს და არ არის გათვალისწინებული არასაკონტაქტო საათები და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები. დაწესებულებამ ზემოაღნიშნული პროცესის რეგულირებისათვის წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ერთწლიანი პერიოდულობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადის პერიოდში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების პრაქტიკების განსაზღვრისათვის იხელმძღვანელოს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” ( ბრძანების NN№42.922510011 10/04/2025) მუხლი 21-ე - შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტებითა და “საქართველოს შრომის კოდექსის” მე-14 მუხლით.

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის, შესაბამისი კადრების მოზიდვის, დანიშვნის, დასაქმების ობიექტურობის და გამჭვირვალების უზრუნველყოფის პროცედურები განსაზღვრულია შინაგანაწესისა და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისი მუხლებით. გაერთიანების ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ “ვაკანსიის საჯაროდ გამოქვეყნება არ ხდება, ვაკანტური განცხადებას წერს გაერთიანებაში, ხდება კანდიდატების გადარჩევა, გასაუბრება კომისიასთან, კანდიდატის შერჩევა და დანიშვნა გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ და შემდგომ დანიშნული კადრი მიდის დაწესებულებაში”. კანონმდებლობის შესაბამისი კადრების შერჩევისა და



უზრუნველსაყოფად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა. დაწესებულებამ წარმოადგინა დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, არ არის წარმოდგენილი პერსონალის შერჩევის ამსახველი დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში ჩანაწერი იყო გაკეთებული, რომ საბავშვო ბაღში დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს აქვს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობა, რომელიც თან არ ერთვოდა განაცხადს მტკიცებულების სახით და ვერც ვიზიტზე მოხდა დოკუმენტის წარმოდგენა/გაცნობა. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

## რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ საქმიანობის წარმართვისას უნდა იხელმძღვანელოს შინაგანაწესის მე-6 თავის (თანამშრომლების სამსახურში მიღების წესის მე-8, მე-9, მე-10 მუხლებით) და “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” თავი III. ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესის შესაბამისი მუხლებით.

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ოთხთვიანი გეგმა, კერძოდ “გაერთიანება უზრუნველყოფს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობების წარმოდგენას”. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ინტეგრაციის პროცესი დაწესებულებაში მიმდინარეობს სასიამოვნოდ, მიმდგრებული შესაბამისი პასუხიმგებელი პირი უზრუნველყოფს ფუნქცია-მოვალეობების, თანამდებობრივი ინსტრუქციის, სტრუქტურის,





კოლეგების, მასთან დაკავშირებული მიზნების, საჭირო რესურსების აღჭურვილობის, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ხელმისაწვდომობის პრინციპების, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესებისა და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმაციის გაცნობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში განხორციელებული ორდღიანი ვიზიტი და განხორციელებული ინტერვიუები ნათლად გამოკვეთს საბავშვო ბაღში არსებულ თანამშრომლობით კულტურასა და გუნდურ სამუშაო გარემოს. თანამშრომლობითი ურთიერთობები ურთიერთპატივისცემასა და გუნდურობას ეყრდნობა, რაც ზრდის ჩართულობას, მოტივაციასა და ეფექტიან შრომისუნარიანობას. თანამშრომლებთან განხორციელებულ ინტერვიუზე თითოეული ადასტურებს საუკეთესო პრაქტიკების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კულტურას. აღსაზრდელების ზრუნვის პროცესში კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებში ჩართულობას, სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, კვების უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას და ა.შ. დაწესებულების დირექტორის როლს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



### 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტის მე-4 თავის მე-19 მუხლი განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს შეფასების პრინციპებსა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს. ინტერვიუებისას გაერთიანების ხელმძღვანელმა და ბაღის მენეჯერმა დაადასტურა, რომ ვინაიდან დოკუმენტი არის ახალი დამტკიცებული პროცესის საქმიანობის განხორციელებისა და საქმიანობის შეფასების შედეგები არ არის ამ ეტაპისთვის ხელმისაწვდომი. საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება საბავშვო ბაღის მენეჯერის მიერ თანამშრომლებთან ზეპირსიტყვიერად, რომელიც თავის მხრივ აცნობს გაერთიანების ხელმძღვანელს მიღებულ ინფორმაციას და შემდგომ გათვალისწინება ხდება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, სფეროების მიხედვით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულება პერსონალის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლევას ანხორციელებს ზეპირსიტყვიერად, შესაბამისად ანალიზის შედეგები არ არის ხელმისაწვდომი და პერსონალის განვითარების გეგმა არ არის არც ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი და ვინაიდან დაწესებულებას არ გააჩნია ერთწლიან სამოქმედო გეგმა არც მასში ინტეგრირებული, გამომდინარე აქედან ვერ დგინდება შესაბამისი განსახორციელებელი/განხორციელებული აქტივობები სააღმზრდელო პერიოდის მიმდინარეობისას. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა, რომელიც თან ერთვის განაცხადის ფორმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის უზრუნველყოს პერსონალის განვითარება გამოვლენილი საჭიროებებისა გეგმის მიხედვით, რომლის მექანიზმი წარმოდგენილია “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მუხლი 20-ში - თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება.

#### რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში მე-20 მუხლის მე-4 და მე-5 ქვეთავში განმარტებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით პირდაპირი შეხვედრების ფორმატში გამოთქმული ინიციატივების დაფიქსირებისა და წახალისების მეთოდები. ინტერვიუს განხორციელებისას თანამშრომლებმა დაადასტურეს აღნიშნული პრაქტიკის არსებობა, სათანადო მტკიცებულებები საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას საბავშვო ბაღს არ წარმოუდგენია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



## რეკომენდაცია

.....

## რჩევა

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ორგანოგრამა
2. “ზავშვთა მიმართ ძალადობის რეაგირების ჯგუფი”
3. პერსონალის პირადი საქმე
4. შინაგანაწესი
5. შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ბრძანება: ბ42. 9223192001 11/07/2023
6. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი “ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელთა სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების”
7. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანება №42.922510011
8. პირველადი დახმარების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი
9. პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი
10. ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა
11. ინტერვიუს შედეგები.

|                                              |                                                          |                                                 |                                         |
|----------------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                    |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.1. პერსონალის მართვა და განვითარება</b> |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>         | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |



## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

#### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას, აღწერილი და იდენტიფიცირებული აქვს მის მიერ განხორციელებული საქმიანობები, რომელიც განისაზღვრება სკოლამდელი ცენტრის მიერ დადგენილი „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“-ს შესაბამისად (ბრძანება №42.92251016 11/04/2025). დოკუმენტი ადგენს მიმდინარე პროცესების ჩამონათვალსა და მათ აღმწერებს, ასევე განსაზღვრავს აღნიშნული პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

#### 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი (ბრძანება №42.92251016), რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 11 აპრილს. აღნიშნულ დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულებაში



პროცესების მართვის უზრუნველყოფას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა, რომელიც თან ერთვის განაცხადის ფორმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ დოკუმენტის “პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა” (ბრძანება №42.92251016) და წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფორმების შევსება.

#### რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღმა წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული “ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი” (№42.92251005 10/04/2025), განცხადების ფორმები და ბავშვის პირადი საქმეები. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: კანონიერებას, თანასწორობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას, გამჭვირვალებასა და ანგარიშვალდებულებას, თემის/რეგიონის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას და ასევე მართვის მოქნილობასა და ეფექტიანობას. რეგისტრაციის ვადების შესახებ მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება უზრუნველყოფილია სკოლამდელი ცენტრის სოციალური ქსელით და საბავშვო ბაღში საინფორმაციო დაფაზე ინფორმაციის განთავსებით. ინფორმაცია მშობლებმა დაადასტურეს ინტერვიუზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

#### რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



#### 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი და დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პირადის საქმის განუყოფელ ნაწილს. ბავშვის პირადი საქმის წარმოების წესი რეგულირდება “ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი” მე-5 მუხლის მე-6 ქვეთავის შესაბამისი ჩანაწერით, ხოლო პერსონალის პირად საქმეს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” 22-ე მუხლის შესაბამისი ჩანაწერი, რომლებიც ითვალისწინებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პირადი საქმეები შემოწმდა და მოიცავს დადგენილი წესების შესაბამისად ყველა დოკუმენტს. ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების სრულად ინახება დაწესებულებაში, ხოლო ნაწილობრივ გაერთიანებაში. ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი არის დაწესებულებაში მენეჯერი და გაერთიანებაში არის სტატისტიკოსი - მათა დათუკიშვილი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

##### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანება: ბ42. 922510011
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
3. ბრძანება ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტის შესახებ
4. ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი
5. ბრძანება პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა ბრძანება: ბ42. 92251016
6. პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა
7. განცხადების ფორმა ბავშვის ჩარიცხვის მოთხოვნასთან დაკავშირებით





8. განცხადების ფორმა ბავშვის ამორიცხვის მოთხოვნასთან დაკავშირებით
9. ბავშვის პირადი საქმეები
10. პერსონალის პირადი საქმეები- დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია/ხელშეკრულება
11. ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა
12. ინტერვიუს შედეგები

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.2 პროცესების მართვა</b>         |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.3. მატერიალური რესურსი

**4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

|                                      |                                               |                                                            |                                         |
|--------------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                               |                                                            |                                         |
| <b>4.3 მატერიალური რესურსი</b>       |                                               |                                                            |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

**4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**



აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

|                                                 |                                                          |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი</b> |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>            | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

##### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

|                                        |                                               |                                                            |                                         |
|----------------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                              |                                               |                                                            |                                         |
| <b>4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები</b> |                                               |                                                            |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>   | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

##### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას



## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დამტკიცებული წესი (ბ42. 9225104001), რომელზეც პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საბავშვო ბაღის სამედიცინო პერსონალი და გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი ექთნის ოთახი. შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმა და საგანგება მართვის გეგმა, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია შესაბამისობის ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის შესაბამისობით განსაზღვრულ ვადაში დაწესებულებამ წარმოადგინოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმა და საგანგება მართვის გეგმა.

### რჩევა

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღმა წარმოადგინა დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის აღრიცხვის დოკუმენტი მტკიცებულების სახით. საბავშვო ბაღის ეზოს ტერიტორიაზე ვიზუალური დათვალიერებისას არ იდენტიფიცირებულა ეკლიანი, წვეტიანი და აღსაზრდელებისათვის საფრთხის შემცველი მცენარეები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

.....

.....

### რჩევა



.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

### 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ფარგლებში საბავშვო ბაღის ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაწესებულება წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმის მეშვეობით იცავს ბავშვთა უსაფრთხოებას და მშობლებთან ანგარიშვალდებულებისა და ინფორმირებულობის წესს. დაწესებულება წარმოადგინა თანხმობის ფორმის მატერიალური მტკიცებულება. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა  
.....  
.....

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

#### 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

##### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



საბავშვო ბაღის შიდა და გარე სივრცეების დათვალიერებისას დადგინდა, რომ დასურათებული დღის განრიგი არ აქვს განთავსებული იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან. აღმზრდელები სიტყვიერი მითითებების მეშვეობით უზრუნველყოფენ აღსაზრდელთათვის პროგნოზირებადი გარემოს შექმნას და ინფორმირებას განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის რეკომენდირებულია დაწესებულებაში განთავსდეს დასურათებული დღის განრიგი, რომლის შერჩეული ფორმა უზრუნველყოფს პროგნოზირებად გარემოს, განრიგში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას და ბავშვებს წინასწარ ექნებათ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, მიმდინარე მოვლენებისა და საქმიანობის მონაცვლეობას მიაღწეონ თვალი.

#### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ორთვიანი გეგმა, კერძოდ “დაწესებულებაში განთავსდება დასურათებული დღის განრიგი, რომლის შერჩეული ფორმა უზრუნველყოფს პროგნოზირებად გარემოს, განრიგში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას და ბავშვებს წინასწარ ექნებათ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, მიმდინარე მოვლენებისა და საქმიანობის მონაცვლეობას მიაღწეონ თვალი”. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციის “ბავშვთა უფლებებათა კონვენციისა” და “ბავშვთა უფლებათა კოდექსის” შესახებ და საქმიანობის წარმართვის პროცესში პრაქტიკაში იყენებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით გაწერილი პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისათვის და წესის შესაბამისად განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი მენეჯერისა და ექთნის სახით. ინტერვიუზე დადგინდა, რომ როგორც პასუხისმგებელი პირები, ასევე სხვა პერსონალი და მშობლებიც სათანადოდ ინფორმირებულნი არიან ბავშვთა უფლებების დაცვისა და ძალადობის ეჭვის შემთხვევაში გამოვლენა/რეაგირების პროცედურების შესახებ. ამ დრომდე ნეგატიური პრაქტიკა დაწესებულებაში არ ყოფილა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას, როგორც ახალი სააღმზრდელო წლის დასაწყისში შემუშავებული სპეციალური აქტივობებით, ასევე თითოეული ახალი აღსაზრდელის მიღებისას მთელი წლის განმავლობაში. ყოველდღიური სახე აქვს დღის განმავლობაში დადგენილი აქტივობების სასიამოვნო შიდა ტრანზიციას, ხოლო ბავშვის ტრანზიციას სკოლაში აღმზრდელები თავის მხრივ ხელს უწყობენ სკოლაში დაგეგმილი ვიზიტით და დადებითი მოლოდინების შესაქმნელად აქტივობას წინასწარ გეგმავენ. დაწესებულებამ წარმოადგინა პროცესის აღმწერი მტკიცებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

.....

#### რჩევა

.....

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება საქმიანობის წარმართვის პროცესში იცავს, როგორც ბავშვის, ასევე მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას. წესის შესაბამისად განსაზღვრულია პირად საქმეზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც იცავს პირადი საქმეების კონფიდენციალურობას, ასევე თავის მხრივ აღსაზრდელები იცავენ ბავშვის ინფორმაციას და არ გადასცემენ მას მესამე პირზე. ფუნქციამოვალეობების დოკუმენტის თანახმად თითოეულ თანამშრომელს საქმიანობის განხორციელების ნაწილში აქვს განსაზღვრული კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება. გაერთიანებას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ინფორმირებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

.....

#### რჩევა





## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი სერტიფიკატი
2. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი
3. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის შესახებ ბრძანება N 842. 92231932
4. ბავშვზე ძალადობის ფაქტზე რეაგირების ჯგუფის მოქმედების ინსტრუქცია
5. მშობლის წერილობითი ნებართვა
6. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
7. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ ბრძანება N 842. 9225104001
8. ბავშვთა მიმართ ძალადობის რეაგირების ჯგუფი
9. ბავშვთა დაცვის მიმართ ბარათი
10. სავაკუაციო გეგმა
11. დღის განრიგი
12. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი
13. სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური შემოწმება
14. სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა
15. ინტერვიუს შედეგები

### შეფასება:

#### 4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|



## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

#### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის მიერ განაცხადის გაკეთებისას წარმოდგენილი იყო მხოლოდ ა. (ა). ი. პ. ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 2024 წლის ანგარიში და წერილი - გაერთიანების 2024 წლის ანგარიშის შესახებ. ვინაიდან დაწესებულებას მოცემული მომენტისათვის წარმოდგენილი აქვს სამთვლიანი პერიოდულობით განსაზღვრული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ადგენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის უზრუნველყოფას ვერ დგინდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში დადგენილი ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის ფინანსურ რესურსებით უზრუნველყოფა.

ამასთან გაერთიანების ბუღალტრების ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას გააჩნია საბიუჯეტო ხარჯების გეგმა, რომელიც იწყება საპროგნოზო ხარჯების განსაზღვრით, შეფასების ეტაპზე იდენტიფიცირდება მომდევნო წლის პრიორიტეტები და ფასდება არსებული შემოსავლები. განხორციელების ეტაპზე დაწესებულებას აქვს „სხვა დამატებითი ხარჯებისათვის“ განსაზღვრული ბიუჯეტი, რომელიც იძლევა საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას. საბიუჯეტო გეგმაში წინასწარ გაწერილია თითოეული აქტივობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომელიც საბიუჯეტო რესურსით დასტურდება და დამტკიცებულია დამფუძნებლის - მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაბამის საანგარიშო პერიოდში. ყოველი წლის ნოემბრის თვეში ხორციელდება მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენა და დასამტკიცებლად წარდგენა მერიის საფინანსო სამსახურში, ასევე შესაბამისი ბიუჯეტის გეგმის ატვირთვა „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ავტორიზებულ სისტემაში“ (წლის განმავლობაში პრიორიტეტებიდან გამომდინარე შესაძლებელია ცვლილებების შეტანა, როგორც ბიუჯეტში, ასევე შესყიდვების გეგმაში). დაწესებულებამ დამატებითი მტკიცებულებების სახით წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: გაერთიანების ბიუჯეტი (2024 წლის 16 ნოემბერი), ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი ბიუჯეტი თვეების ჭრილში, ბაზრის კვლევის ნიმუშები, ზედნადებები, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები, განაწილების დოკუმენტი, ინვენტარიზაციის შედეგები გაერთიანების, ინვენტარიზაციის შედეგები დაწესებულების, საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი, ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

##### რეკომენდაცია

##### რჩევა



## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა უზრუნველყოფილია ბიუჯეტის ფინანსური რესურსით. პროცესის მიმდინარეობა გულისხმობს ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით საჭირო რესურსების შეძენის, განკარგვისა და განახლების ეტაპს. კურიკულუმის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების რესურსებით უზრუნველყოფა ხორციელდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 6 შესაბამისად. საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემით - მენეჯერების მოთხოვნის საფუძველზე რესურსების განსაზღვრა, შესყიდვების შესახებ მოთხოვნის გადაცემა შესყიდვების სპეციალისტთან, თითოეული საჭირო რესურსის შესყიდვისათვის დაწესებულებათა გაერთიანებაში იქმნება კომისია, კომისიის წევრები აკეთებენ ბაზრის კვლევას, რის შემდეგაც ხდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების მიხედვით შერჩევა-შეფასება, რომელიც დასტურდება შესყიდვის დოკუმენტით, შესყიდვა ხორციელდება ტენდერით ან ერთ პირთან მოლაპარაკების/გამარტივებული შესყიდვის წესით გზით. შეძენილი რესურსების მიღება და განაწილება დაწესებულებაში ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტებით. სხვა განმავითარებლო რესურსების შეძენა, მათ შორიც სათამაშოებისა და წიგნების ხორციელდება ბიუჯეტის გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, ბოლოს კი მიღება-ჩაბარების აქტით გადმოეცემა საბავშვო ბაღს, რომლის თავის მხრივ ასახავს ბაღის ინვენტარიზაციის აქტში. ასევე აღნიშნული პროცესის მიზნების მისაღწევად განსაზღვრული აქვთ ფინანსური რესურსი თანამშრომლებთან ტრენინგებისა და გადამზადების კურსებისათვის. ზემოაღნიშნული პროცესის დადასტურება მოხდა ბუღალტრებთან ინტერვიუების ეტაპზე, თითოეული განხილული ეტაპის სათანადო მტკიცებულებები წარმოადგინა გაერთიანებამ მატერიალური სახით. დაწესებულებამ დამატებითი მტკიცებულებების სახით წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: გაერთიანების ბიუჯეტი (2024 წლის 16 ნოემბერი), ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი ბიუჯეტი თვეების ჭრილში, ბაზრის კვლევის ნიმუშები, კურიკულუმის ფარგლებში შეძენილი საგანმანათლებლო რესურსების შეძენის დოკუმენტი, ზედნადებები, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები, განაწილების დოკუმენტი, ინვენტარიზაციის შედეგები გაერთიანების, ინვენტარიზაციის შედეგები დაწესებულების, საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი, ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტი. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

#### რეკომენდაცია



## რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ყოველწლიურად, განსაზღვრული რაოდენობის ფინანსური რესურსი კურიკულუმის მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად. დაწესებულების ბიუჯეტი უნდა უზრუნველყოფდეს დამტკიცებული კურიკულუმით გათვალისწინებული საჭიროებების შესრულებას და საკმარისი ფინანსური რესურსის უწყვეტ ხელმისაწვდომობას. ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილი უნდა დასტურდებოდეს შესყიდვის დოკუმენტაციით, ინვენტარიზაციის აქტით ან სხვა შესაბამისი მეთოდებით.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოადგინა მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს დაფინანსების წესის მეთოდოლოგიის არსებობას საქართველოს ორგანული კანონის “ ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსითა” და “ საქართველოს საბიუჯერო კოდექსის” შესაბამისად. გაერთიანების ბიუჯეტის მიერ ინტერვიუზე დადასტურდა, რომ - დაწესებულება სამ თვეში ერთხელ წერილობითი ფორმით და წარდგინებითი ფორმით წელიწადში ორჯერ მუნიციპალიტეტში წარადგენს ფინანსური ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტს.

ბიუჯეტი ჩაშლილია შემდეგ პუნქტებად: შრომის ანაზღაურება, კვება, ინფრასტრუქტურა, სამეურნეო და ჰიგიენური საშუალებები, ტრანსპორტი და სხვა. საანგარიშო წლის ბოლოს ხორციელდება მონიტორინგი ფინანსური გეგმის შესრულების შედეგების სტატუსის მისანიჭებლად და სამუშაო ჯგუფის ფორმატში იგეგმება მომავალი წლის გეგმა. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების წესს განსაზღვრავს ფინანსთა მინისტრის N 364 ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად 31 დეკემბრამდე. დაწესებულებაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე ხდება საინვენტარიზაციო კომისიის შექმნა, თავმჯდომარის და არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარე ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ მიმართავს დაწესებულების ხელმძღვანელს და წარუდგენს საბავშვო ბაღის ინვენტარიზაციის ნუსხას და დაზიანებული ინვენტარის ჩამონათვალს შემდგომი ჩამოწერისათვის. ჩამოწერილი ინვენტარის განადგურება ხორციელდება კომისიის მიერ და ამოიწერება ინვენტარიზაციის ნუსხიდან. დაწესებულებამ დამატებითი მტკიცებულებების სახით წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: გაერთიანების



ბიუჯეტი (2024 წლის 16 ნოემბერი), ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი ბიუჯეტი თვეების ჭრილში, ბაზრის კვლევის ნიმუშები, ზედნადებები, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები, განაწილების დოკუმენტი, ინვენტარიზაციის შედეგები გაერთიანების, ინვენტარიზაციის შედეგები დაწესებულების, საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი, ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც თავის მხრივ უნდა ეფუძნებოდეს ხარისხის ციკლს - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გადახედვა/გაუმჯობესება. უმნიშვნელოვანესია პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე (დეფიციტზე ან პროფიციტზე). უნდა იყოს განსაზღვრული შიდა მონიტორინგის პერიოდულობა. დაწესებულებამ ყოველი წლის ბოლოს უნდა გააკეთოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასების შედეგად უნდა დაგეგმოს შემდეგი აქტივობები, ასევე სათანადო რეაგირება მოახდინოს შეფასების შედეგებზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაერთიანების ბიუჯეტი
2. ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის ბიუჯეტი თვეების ჭრილში
3. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“
4. ინვენტარიზაციის დოკუმენტი

შეფასება:

**4.7 ფინანსური რესურსი**

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|



## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება                                         |                             |
|----------------------------------------------------------------------------|-----------------------------|
| ვიზიტის დღის წესრიგი                                                       |                             |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| დანართის N                                                                 | 2. სხვა დანართის დასახელება |
| 1                                                                          |                             |
| 2                                                                          |                             |
| 3                                                                          |                             |

თარიღი

25/09/2025

### ხელმომწერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ხარისხის ექსპერტი

### სახელი გვარი

მარიამ მარიამიძე

### ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

კურიკულუმის ექსპერტი:

მაია მიჩილაშვილი

კვების დარგში ექსპერტი:

რუსუდან აჩელაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

ლალი ალადაშვილი

|                                                                                                                                                                                                                                              |                                                                                                                                                                                                             |                                     |                                     |                                     |                          |                                                                                                                                                                                                                                                                                              |                                                                                                          |                                                                                                                     |                                    |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------|
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი                                                                                                                                                                   |                                                                                                                                                                                                             |                                     |                                     |                                     |                          |                                                                                                                                                                                                                                                                                              |                                                                                                          |                                                                                                                     |                                    |
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):<br>ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი |                                                                                                                                                                                                             |                                     |                                     |                                     |                          | ბრძანების N: MES 6250000523950 (15.05.2025)                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                          |                                                                                                                     |                                    |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ლაგოდების მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭაბუკიანი, 1-ლი ქუჩა, N147<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)                                                                             |                                                                                                                                                                                                             |                                     |                                     |                                     |                          | ვიზიტის თარიღი: 4-5 ივნისი                                                                                                                                                                                                                                                                   |                                                                                                          |                                                                                                                     |                                    |
| კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მიხიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამაშა არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას                                                                |                                                                                                                                                                                                             |                                     |                                     |                                     |                          |                                                                                                                                                                                                                                                                                              |                                                                                                          |                                                                                                                     |                                    |
| N                                                                                                                                                                                                                                            | ინდიკატორი                                                                                                                                                                                                  | შეესაბამება                         | მეტწილად შეესაბამება                | ნაწილობრივ შეესაბამება              | არ შეესაბამება           | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები                                                                                                                                                                                                         |                                                                                                          |                                                                                                                     |                                    |
| 1                                                                                                                                                                                                                                            | დაწესებულება უზრუნველყოფს სადამრღდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით                                    | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/>            | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2. შენობა-ნაგებობის სქემა<br>3. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დოკუმენტი<br>4. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია<br>5. ინვენტარიზაციის დოკუმენტი<br>6. ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა |                                                                                                          |                                                                                                                     |                                    |
